პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

12 ნოემბერი, შაბათი, 1988 წ. № 216 (9883) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ერთი სიახლე

მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში პედაგოგიური კოლექტივების პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება სკოლამდელი დაწესებულებების გამოსაშვებ ჯგუფებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების IX და X კლასებში, აგრეთვე პროფტექნიკური სასწავლებლების დამამთავრებელ ჯგუფებში მოეწყოს გამოცდა ფიზიკურ აღზრდაში.

ეს გადაწყვეტილება ძალაში შედის მიმდინარე სასწავლო წლიდან. გზა დავულოცოთ ახალგაზრდა თაობის ფიზიკური აღზრდის სისტემაში რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს მიერ დანერგილ კიდევ ერთ სიახლეს!

ყარაგანდასა და მურმანსკში

ამ ორმა ქალაქის რინგებმა თავი მოუყარეს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოკრივეებს, რომლებმაც საპატიო პრიზები გაითამაშეს. ყარაგანდაში მძაფრი ბრძოლებით აღინიშნა შეხვედრები სსრ კავშირის თასისათვის. იქ თავი ისახელა თბილისელმა ოსტატმა რუდიკ კაზანჯიანმა. მან 48 კგ წონით კატეგორიაში ტოლი არავის დაუდო და უძლიერესის სახელი დაიმკვიდრა. მისმა თანაქალაქელმა ნიკოლოზ სეთურმა კი, რომელიც 91 კგ წონაში გამოდიოდა, მეორე საპრიზო ადგილი დაიმკვიდრა, მესამეზეა ფოთელი იური სავოჩკინი (63,5).

* * *

საინტერესო ტურნირი გაიმართა მურმანსკშიც, სადაც ევროპის სამოყვარულო კრივის ასოციაციათა კავშირის საპატიო პრეზიდენტ ნიკოლოზ ნიკიფოროვ-დენისოვის თასი გათამაშდა. აქაც წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები. ქუთაისელმა მ. ხურციძემ (67) პირველობა არავის დაუთმო, ხოლო რუსთაველმა ვ. აბასოვმა (63,5) საპატიო მეორე ადგილი მოიპოვა.

გოჩა თორია — პრიზიორთა შორის

ქუთაისში დამთავრდა ვახტანგ ქარსელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციულ საჭადრაკო მემორიალი.

9 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ერევნელმა ოსტატმა აშოტ ანასტასიანმა. გამარჯვებულს თითო ქულით ჩამორჩნენ და II-III ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატმა გოჩა თორიამ (ზუგდიდი) და ოსტატმა ფელიქს ცეიტლინმა (ლენინგრადი). მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: IV-VIII. არტაშეს მინასიანი (ერევანი), ფელიქს ლევინი (ლვოვი), გოჩა ტყებუჩავა (ცხაკაია), ბესიკ ხეცურიანი (ქუთაისი), ვლადიმერ ეპიშინი (ლენინგრადი) — 7,5-7,5, IX. დიმიტრი კომაროვი (ლენინგრადი) — 7, X. გია ბაღათუროვი — 5,5, XI. დავით ლობჟანიძე — 5, XII. გია ცქიტიშვილი — 4,5, XIII-XIV. იგორ ეფიმოვი, თამაზ ტაბატაძე (ყველა — თბილისი) — 3-3.

ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.
ქუთაისი.

მხედრები მეგობრობენ

თბილისელი და ტალინელი მხედრების ტრადიციულ შეხვედრას, რომელიც მიმოსვლით (ცხენებს მასპინძლები სთავაზობენ სტუმრებს) ტარდება, წელს ჩვენი რესპუბლიკის ლიდაქალაქმა უმასპინძლა. დაბრკოლებათა გადალახვაში „გახსნის პრიზზე" ადგილები ასე განაწილდა: 1. რ. გეგია, 2. ვ. გაჩეჩილაძე (ორივე — თბილისი), 3. ა. ტრავე (ტალინი). „მეგობრობის თასზე" ასპარეზობა მხოლოდ ორმა მხედარმა დაამთავრა — პირველი იყო თბილისელი გ. გუჯაბიძე, მეორე — ტალინელი ო. ვუნდერი. „გამარჯვებულთა თასზე" თითოეული გუნდიდან 3-3 საუკეთესო მხედარი მონაწილეობდა. ადგილები ასე განაწილდა 1. ო. ვუნდერი, 2. ვ. გაჩეჩილაძე, 3. გ. გუჯაბიძე.

დაბრკოლებათა გადალახვის გარდა პროგრამაში იყო ცხენის გაწვრთნა, სადაც ორივე პროგრამაში გამარჯვება მასპინძლებს ი. კოზინას და ო. მიკსელს ხვდათ წილად.

საერთო გუნდური პირველობაც თბილისელებმა მოიგეს.

37 წლის თბილისელმა ინჟინერმა ვალერი გედევანიშვილმა ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა საქართველოს ჩემპიონატში მარათონულ რბენაში. შეჯიბრება თბილისის ზღვაზე ჩატარდა. მართალია, ამ კლასიკურ დისტანციაზე მხოლოდ 13 სპორტსმენი გამოვიდა, მაგრამ ჩემპიონატის პარალელურად მიმდინარეობდა რესპუბლიკური პირველობა გრძელ მანძილებზე (10 და 20 კმ) რბენაში, რომელმაც გაცილებით მეტ რბენის მოყვარულს მოუყარა თავი. ვაჟთა შორის 20-კილომეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთმა უძლიერესმა სტაიერმა ოლეგ სტრიჟაკოვმა, ხოლო გოგონათა შორის ლიზა ბურნაძე პირველობდა.

დაწვრილებით ცნობებს ამ შეჯიბრების შესახებ „ლელოს" უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

ჯუმბერ ხუბუას ფოტოები.

ჩვენი მომავალი მეტოქეები

დღეს, საბერძნეთის ქალაქ სალონიკში იხსნება მსოფლიოს მორიგი საჭადრაკო ოლიმპიადა. წინასწარი მონაცემებით მასში მონაწილეობას მიიღებს 102 ქვეყანა. შეგახსენებთ, რომ ვაჟთა გუნდები 4 ძირითადი და 2 სათადარიგო მოთამაშისგან არის დაკომპლექტებული, ქალთა კოლექტივები კი, შესაბამისად, სამი და ერთი მოჭადრაკისგან.

საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში არიან: გარი კასპაროვი, ანატოლი კარპოვი, არტურ იუსუპოვი, ალექსანდრე ბელიავსკი, იან ელვესტი, ვასილი ივანჩუკი, მაია ჩიბურდანიძე, ელენა ახმილოვსკაია, ირინა ლევიტინა და მარტა ლიტინსკაია. საჭადრაკო ოლიმპიადის დებიუტანტებად ჩვენს გუნდში ელვესტი და ივანჩუკი ითვლებიან.

ქალთა ტურნირის ფავორიტებად, ყველას ერთხმად, საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეები მიაჩნია, აი ვაჟთა გუნდს კი, სპეციალისტების აზრით სერიოზულ მეტოქეობას რამდენიმე მონაწილე გაუწევს, პირველ რიგში კი ინგლისის ნაკრები, რომელმაც ბოლო წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და ახლა ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება. ამჯერად ბრიტანელთა შორის გამოვლენ: ჯონათან სპილმენი, ნაიჯელ შორტი, ჯონ ნანი, მიურეი ჩანდლერი, ჯონათან მესტელი და უილიამ უოტსონი, ჭადრაკის მოყვარულებმა ალბათ იციან, რომ სპილმენმა უკვე მოიპოვა პრეტენდენტთა ნახევარფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება (დაამარცხა შორტი), ნანი და ჩანდლერი კი კარგი „გუნდური" მებრძოლები არიან.

ეჭვს არ იწვევს, რომ წინა ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი — აშშ-ს ნაკრები წლეულს უკეთესი ადგილისთვის იბრძოლებს. სალონიკში გუნდის ლიდერი დიდოსტატი იასერ სეირავანი იქნება.

ტრადიციულად ძლიერია უნგრეთის ნაკრებიც, რომლის ღირსებასაც ამჯერად საკმაოდ პოპულარული მოჭადრაკეები ლაიოშ პორტიში, იშტვან ჩომი, ზოლტან რიბლი, დიულა საქსი, იოჟეფ პინტერი და ანდრაშ ადორიანი დაიცავენ.

ქალთა ტურნირში ინტერესით მოელიან უნგრეთის ნაკრების გამოსვლას, რომელშიც მოხვდნენ პოპულარული დები პოლგარები — 19 წლის ჟუჟა, 12 წლის იუდიტი (თანაც მეორე დაფაზე) და 14 წლის ზოფი. ამ გუნდის სათადარიგო წევრად დასახელებულია 19 წლის ილდიკო მადლი. ბოლო დროს დები საკმაოდ წარმატებით თამაშობენ საერთაშორისო შეჯიბრებებში, განსაკუთრებით კი ვაჟთა ტურნირებში. ჟუჟა უკვე საერთაშორისო დიდოსტატია, მისი ორი და კი საერთაშორისო ოსტატები.

ოლიმპიადის მთავარი არბიტრი იუგოსლაველი სვეტოზარ გლიგორიჩი გახლავთ.

შეჯიბრება ტარდება შვეიცარიული სისტემით, თოთხმეტ ტურად, დაიწყება იგი 13 და დამთავრდება 29 ნოემბერს. 17, 24 და 28 ნოემბერი დასვენების დღეებია.

„ლელოს" პრიზი საგარეჯოელ სამბისტს

ამ დღეებში საგარეჯოში ჩატარდა 1973-1975 წწ დაბადებულ სამბისტთა პირად-გუნდური პირველობა გაზეთ „ლელოს" პრიზზე. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების, „დინამოს", „შრომითი რეზერვების" და განათლების სამინისტროს ნორჩი სპორტსმენები. ცალკე გუნდად გამოდიოდა „ლოკომოტივის" კოლექტივიც. პირველი გუნდური ადგილი დიდი უპირატესობით პროფკავშირთა საზოგადოების სამბისტებმა მოიგეს (უფროსი მწვრთნელი ანზორ ზურაბაული), მომდევნო ადგილებზე გავიდნენ „დინამოსა" და „ლოკომოტივის" წარმომადგენლები.

პირადი პირველობა, ტრადიციისამებრ, თექვსმეტ წონით კატეგორიაში გათამაშდა. გამარჯვება წონების მიხედვით დაისაკუთრეს: იაგო მიშელაშვილმა (დუშეთი), ქართლოს თედიაშვილმა (საგარეჯო, ორივე — პროფკავშირთა საზოგადოება), შალვა მრევლიშვილმა (მცხეთა, „შრომითი რეზერვები"), გოჩა ჯიშკარიანმა (ქუთაისი, „ლოკომოტივი"), ანდრო ჯავახიშვილმა (საგარეჯო, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება), ომარ ოდიშვილმა (თბილისი, განათლების სამინისტრო), ალექსანდრე წიქორიძემ (ქუთაისი, „ლოკომოტივი"), ხვიჩა კურდღელაშვილმა (საგარეჯო), კობა თადიაშვილმა (დუშეთი), რამაზ ზედგენიძემ (რუსთავი), გელა ბაიაძემ (გორი, ოთხივე — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება), ზვიად ტუღუშმა (ფოთი, „დინამო"), ბესიკ ერაშვილმა (კასპი), თენგიზ ჯინჭარაძემ (საგარეჯო, ორივე — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება), გაიოზ გვათუამ (ფოთი, „დინამო") და მიხეილ ყუშიტაშვილმა (საგარეჯო, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება). აქვე დავძენთ, რომ საუკეთესო სამბისტისათვის დაწესებული პრიზი მძიმე წონაში გამარჯვებულ მიხეილ ყუშიტაშვილს გადაეცა.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო სამბისტთა სარეკორდო რაოდენობამ (320 ათლეტი), რაც იმის დასტურია, რომ ჭაბუკებში სამბო საკმარისი პოპულარობით სარგებლობს და მას ნორჩი თაობა ხალისით ეტანება. სასიამოვნოა ისიც, რომ გამარჯვებულთა შორის ცხრა რეგიონის წარმომადგენლებს ვხვდებით. ყველაზე მეტი ჩემპიონი ტურნირის მასპინძელს საგარეჯოს ჰყავდა — ხუთი, ორ-ორი გამარჯვება მოიპოვეს დუშეთის, ქუთაისისა და ფოთის სამბისტებმა.

სამბოს გეოგრაფიის ასეთი შესამჩნევი ზრდა უდაოდ კეთილი ნიშანია, მაგრამ ამ პოპულარობას ახლა ქმედითი მხარდაჭერა სჭირდება. ტურნირმა ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდა გამოავლინა. მათი ჩამოყალიბება და სწორი გზით წარმართვა ამ ჭიდაობის სპეციალისტთა უპირველესი ვალია.

ორი გამარჯვებული

ერევნის კორტებზე გაიმართა [illegible] კავშირის გმირის ს. ათანესიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საკავშირო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ (1975-1976 და 1977-1978 წლებში დაბადებული) კიშინიოვის, ოდესის, ლვოვის, ადლერის, ტაშკენტის, აშხაბადის, სიმფეროპოლის, თბილისის და ერევნის ჩოგბურთელები.

უფროსი ასაკის გოგონათა შორის პირველი ადგილი მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა — ოლიმპიური რეზერვის ჩოგბურთის სკოლის წევრმა, 53-ე სკოლელმა მოსწავლემ მაკა წიწუაშვილმა (მწვრთნელი ბადრი ბაზაზაშვილი).

ამავე ასაკის ბიჭებს შორის უძლიერესი იყო თბილისის 58-ე სკოლის მეექვსეკლასელი, დინამოელი ლევან გელაშვილი (მწვრთნელი — რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი გივი ჩახუნაშვილი).

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ლიგა

გუშინ დნეპროპეტროვსკში შედგა სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის საფეხბურთო ჩემპიონატის 30-ე ტურის შეხვედრა ადგილობრივ „დნეპრსა" და ვილნიუსის „ჟალგირისს" შორის. ამ გუნდებს ერთმანეთთან 19 ნოემბერს უნდა ეთამაშათ, მაგრამ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ თამაში ადრე გადმოიტანა.

მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 3:1.

ამ მატჩის მოგებით დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა" გაინაღდა სსრ კავშირის 1988 წლის ჩემპიონის წოდება.

გაკვეთილი ხვალისათვის

სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატი ჩვენი ბადმინტონისტებისათვის მხოლოდ იმით დამთავრდა, რომ უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნეს

ბოლო წლებში მკვეთრად გამოცოცხლდა ქუთაისის სპორტული ცხოვრების მაჯისცემა, აქ არაერთი სხვადასხვა რანგის დიდი შეჯიბრება ჩატარდა, მაგრამ თავისი სპორტული ტრადიციებით განთქმულმა რიონისპირა ქალაქმა პირველად უმასპინძლა ბადმინტონისტთა გუნდურ საკავშირო ჩემპიონატს (უმაღლესი და მეორე ლიგა). ასპარეზობა სპორტკომბინატის სადემონსტრაციო დარბაზში ჩატარდა.

უმაღლესი ლიგის შეჯიბრებაში რვა გუნდი გამოდიოდა, მათ შორის აშკარა იყო ჩემპიონატის ფავორიტების რსფსრ-ის და ბელორუსიის ნაკრები გუნდების უპირატესობა. მათ ყველა მეტოქე დამაჯერებლად დაამარცხეს და შეჯიბრების ბოლო დღეს სწორედ ამ კოლექტივების შეხვედრაში გადაწყდა ჩემპიონის ბედი.

ამ გუნდების შეხვედრის დროს განსაკუთრებით პრინციპული გამოდგა ლიდერების, ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონების ა. ანტროპოვისა და ვ. შმაკოვის ორთაბრძოლა. მეტოქეებმა უმაღლესი კლასის თამაში უჩვენეს მაყურებლებს. დაძაბულ შეხვედრაში ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა რსფსრ-ის გუნდის წევრმა ა. ანტროპოვმა. მას თანაგუნდელებმაც კარგად აუბეს მხარი. საბოლოოდ ანგარიშით 4:2 უპირატესობა მოიპოვა რსფსრ-ის ნაკრებმა (ანდრეი ანტროპოვი, სერგეი სევრიუკოვი, პავლე უვაროვი, ვლადიმერ სმოლინი, მარინე ბელიასოვი, ირინა სეროვა, ოლგა ჟილიხოვსკაია, ტატიანა ასეფიევა) და ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

უმაღლესი ლიგის გუნდები გათამაშების ცხრილში შემდეგი თანმიმდევრობით განლაგდნენ: 1. რსფსრ, 2. ბელორუსია, 3. უკრაინა, 4. ყაზახეთი, 5. მოსკოვი, 6. ლენინგრადი, 7. საქართველო, 8. ლიტვა.

მეორე ლიგის გუნდებში გამარჯვება არავის დაუთმეს სომხეთის წარმომადგენლებმა. დანარჩენი ოთხი ადგილი შესაბამისად დაიკავეს ესტონეთის, აზერბაიჯანის, ლიტვისა და უზბეკეთის გუნდებმა.

ამრიგად, უმაღლეს ლიგას გამოეთხოვა ლიტვის ნაკრები, რომლის ადგილს გაისად II ჯგუფში გამარჯვებული სომხეთის გუნდი დაიჭერს.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, მან ძნელ ბრძოლაში ანგარიშით 4:3 დაამარცხა ლიტვის ნაკრები და უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა. ეს მომგებიანი ქულები ჩვენი რესპუბლიკის გუნდს შესძინეს დავით კავილაძემ, ინგა ბერიძემ, კავილაძე-გიორგი ჯანელიძის დუეტმა და ჯანელიძე-ბერიძის შერეულმა წყვილმა.

სამწუხაროდ, ამ ჩემპიონატზე ჩვენს ბადმინტონისტებს საკმაოდ მოკრძალებული მიზანი ჰქონდათ. მომავალში კი უკეთესის „იმედი უნდა ვიქონიოთ. სპორტის ამ ოლიმპიურ სახეობას მეტი ყურადღება და მზრუნველობა სჭირდება. ეს გამოვლინდა კიდეც უფროს მწვრთნელ ლევან ქურხაშვილთან საუბრის დროს. დიახ, ნაკრებს ვარჯიშის ელემენტარული პირობებიც არა აქვს, განსაკუთრებით ზამთრის თვეებში, ამავე დროს მსოფლიოში ყველაზე მასობრივი სპორტის ეს სახეობა ჩვენს რესპუბლიკაში ძირითადად მხოლოდ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში არის დანერგილი, სპორტსმენებს აკლიათ სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში მონაწილეობის გამოცდილება.

ერთი სიტყვით, პრობლემები ბევრია, დრო კი არ ითმენს — 1992 წელს ბარსელონაში ბადმინტონისტები უკვე პირველ ოლიმპიურ მედლებს გაითამაშებენ.

ჩემპიონატის დღეებში ქუთაისში იმყოფებოდა ცნობილი ჩინელი სპეციალისტი იან იუიც ზიანი, საკმარისია ითქვას, რომ იგი მსოფლიოს პირველი ჩოგანის იან იანის მწვრთნელია და სხვა ტიტულოვანი სპორტსმენებიც ბლომად აღუზრდია. იან იანმა შარშან პეკინში ჩატარებულ პლანეტის ჩემპიონატში ყველა თანრიგში ოქროს მედლები დაისაკუთრა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა სხვა „ოქროს“ მისმა თანაგუნდელებმა დაისაკუთრეს, ადვილი გასაგებია, რომ დღეს ჩინელები (ისევე როგორც ამის სხვა ქვეყნები) ბადმინტონის მოდის კანონმდებლები არიან.

სწორედ ასეთი კლასის სპეციალისტმა ჩაატარა თავისებური სემინარები საბჭოთა სპორტსმენებისათვის. არაერთი სასარგებლო რჩევა-დარიგება და რეკომენდაცია მისცა მწვრთნელებს. იგი ქუთაისის ბავშვთა და მოზარდთა სპორტთამაშების სკოლასაც ეწვია, სადაც ნორჩებს ჩაუტარა გაკვეთილები მსოფლიო ჩემპიონის მწვრთნელის სასარგებლო რჩევები პატარა ბადმინტონისტებს, ალბათ, არასდროს დაავიწყდებათ.

• • •

ჩემპიონატის მონაწილეებმა, ორგანიზატორებმა, ჟურნალისტებმა პირველად დაასახელეს ჩვენი ქვეყნის „მის ბადმინტონი-88“. ეს საპატიო ტიტული მოსკოვის გუნდის წევრს ნატალია ჩურსინას ერგო. სწორედ მან გადაუხადა მასპინძლებს ყველა მონაწილის სახელით დიდი მადლობა შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებისა და გულთბილი მასპინძლობისათვის.

თამაზ კოლხიდელი,
„ლელოს“ საკ. კორ.

სურათზე: ნატალია ჩურსინა.

გამოხმაურება პროექტზე „საქართველოს სსრ უმაღლეს საასწავლებლებში მისაღები გამოცდების წინ ფიზიკურ მომზადებაში ჩასათვლელი ნორმატივები 1989-91 წლებისთვის“.

გართულება საჭირო არ არის

პროექტში, რომელიც „ლელომ“ ამას წინათ გამოაქვეყნა, ჩემი ყურადღება მიიპყრო იმან, რომ მოთხოვნები საშეჯიბრო ხასიათისაა, რაც უთუოდ გამოიწვევს აბიტურიენტის გადაძაბვას. ასეთ სიტუაციაში ძნელია ახალგაზრდამ შესაძლებლობები სრულად გამოავლინოს.

იმისათვის, რომ დავადგინოთ ადამიანის ფიზიკური მონაცემები და შესაძლებლობები, უნდა შემოწმდეს შემდეგი კომპონენტები: სიჩქარე, ძალა, ამტანობა და მოქნილობა. აი, ეს ოთხი პირობა პროექტში არ არის გათვალისწინებული, ხოლო ზემოაღნიშნული კომპონენტების ერთიანობას თუ გვინდა მივაღწიოთ, ადამიანმა უნდა იცოდეს ცურვა. ჩვენი აზრით, ცურვაში ნორმატივის ჩაბარება საჭიროა სავალდებულო გავხადოთ ყველა აბიტურიენტისათვის. აუცილებლად მიგვაჩნია ნორმატივის ჩაბარება აგრეთვე როგორც აძლაში (და არა ღერძზე მიზიდვაში), ისე იატაკიდან მკლავებზე აჭიმვაში.

პროექტში შეტანილია რბენა 300 მეტრზე, რაც, ვფიქრობთ, სრულიად ზედმეტია, აბიტურიენტის ფიზიკური მომზადების შემოწმება 100 მეტრზე რბენაშიც შეიძლება.

იმის გათვალისწინებით, რაც ზემოთ უკვე ითქვა, სასურველია პროექტში შევიდეს სიჩქარის, გამძლეობის, ძალის და მოქნილობის შესამოწმებლად შემდეგი ნორმატივები:

ვაჟებისათვის — რბენა 100 მეტრზე (არა უმეტეს 15 წამისა); ღერძზე აძლა (არა უმეტეს 6-ჯერ, მხრის მომხრელი კუნთებისთვის ჰორიზონტალური მდგომარეობიდან) ან იატაკიდან მკლავებზე აჭიმვა (არანაკლებ 10-ისა, მხრის გამშლელი კუნთებისთვის); ხტომები სახტუნელათი (არანაკლებ 30 წამისა), ცურვა (არანაკლებ 50 მეტრისა დროის გარეშე).

ქალებისათვის — რბენა 100 მეტრზე (არაუმეტეს 18 წამისა); რბენა 400 მეტრზე (არაუმეტეს 2 წუთისა და 30 წამისა); აძლა (დადაბლებული ღერძიდან, არანაკლებ 8-ისა); ხტომები სახტუნელათი (არანაკლებ 30 წამისა); ცურვა (არანაკლებ 25 მეტრისა დროის გარეშე).

ჩათვლა უნდა მიიღოს მხოლოდ იმ აბიტურიენტმა, რომელიც ყველა ნორმატივს ჩააბარებს.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული პროგრამა მისაღები და ადვილად მისაწვდომია აბიტურიენტთათვის წინასწარ მოსამზადებლად. ამასთან იგი არ შეიცავს საშეჯიბრო ხასიათს, გამოავლენს პიროვნების ფიზიკური შესაძლებლობის იმ მინიმუმს, რაც აუცილებელია ფიზიკურად ყოველმხრივ განვითარებული ადამიანისთვის.

ლევან ცაბარელი.

რესპუბლიკის ახალგაზრდული IV სპორტული თამაშები

ახალი წესებით

საქართველოს IV ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ ტურნირს კლასიკურ ჭიდაობაში ამ დღეებში მახარაძემ უმასპინძლა. შეჯიბრება მოეწყო ახალი წესებით. ამ წესების თანახმად ბრძოლის რეგლამენტი განსაზღვრული იყო 5 წუთით. სიახლეს შეჯიბრების ბევრი მონაწილე მოუმზადებელი შეხვდა, არადა, ადრე მოქმედ წესთან შედარებით, მას აქვს გარკვეული უპირატესობა.

ორთაბრძოლები უფრო დინამიური და დაძაბული გახდა. მოჭიდავე, რომელსაც უჭირს ილეთის ჩატარება, შესაბამისი გაფრთხილების შემდეგ იხსნება ხალიჩიდან. ის, ვინც ფიზიკურად კარგად არ არის მომზადებული, ვერც ბრძოლის რიტმს უძლებს და ვერც ნერვიულ დაძაბულობას. სწორედ ამ სიახლეთა წყალობით ბრძოლა ყველა წონაში უაღრესად მძაფრი იყო, განსაკუთრებით იმ მოჭიდავეთა შორის, რომლებიც საპრიზო ადგილებისთვის იბრძოდნენ.

რამდენიმე სიტყვა შეჯიბრების ორგანიზაციაზეც. ტურნირი ჩატარდა მაღალ დონეზე, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მახარაძის კლასიკური ჭიდაობის ფედერაციის საქმიან და უნარიან მუშაობას (ფედერაციის თავმჯდომარე იური სიორიძე). საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ რაიონში სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის ყველა პირობაა შექმნილი. სულ მალე დამთავრდება სამლეიბიანი დარბაზის მშენებლობა, რომელიც არა მარტო მოჭიდავეთა, არამედ სპორტის ნებისმიერი სახეობის წარმომადგენელთა დიდ საკავშირო ტურნირებსაც უმასპინძლებს. კარგი ბაზა მწვრთნელებსაც მუშაობის სტიმულს აძლევს. მახარაძელი სპეციალისტები გულმოდგინედ ეძებენ ნიჭიერ ახალგაზრდებს და შედეგიც სახეზეა. აქაურმა კლასიკოსებმა ამ შეჯიბრებაში სამი პირველი ადგილი დაიკავეს.

სამწუხაროდ, კარგი მაგალითი ყოველთვის გადამდები არ ყოფილა. ისეთ დიდ რეგიონს, მაგალითად, როგორიც აჭარაა, არა აქვს სავარჯიშო პირობები და აქაურ მოჭიდავეთა ოსტატობის ზრდა საგრძნობლად დამუხრუჭდა. აჭარას მუდამ ჰყავდა მაღალი კლასის მოჭიდავეები, ამიტომ მეხუთე გუნდური ადგილი მისთვის შეუფერებლად მიგვაჩნია. ექვსეულში ვერ მოხვდა აფხაზეთის გუნდი — ესეც წარუმატებლობაა. იყო დრო, ცხაკაია კარგ ოსტატებს აწვდიდა რესპუბლიკას. ახლა ამ რაიონის მოჭიდავეები მე-14 ადგილზე გავიდნენ. აღნიშნული გუნდების ფონზე ბორჯომელთა მიერ დაკავებული მეოთხე ადგილი მნიშვნელოვან წინსვლად უნდა მივიჩნიოთ.

ტურნირის ყველაზე ტექნიკური მოჭიდავისთვის დაწესებული პრიზი, სავსებით სამართლიანად, მახარაძელ გია ჩხატარაშვილს გადაეცა. შეჯიბრებამ სხვა ნიჭიერი მოჭიდავეებიც გამოავლინა.

ტექნიკური შედეგები: გუნდური. 1. თბილისი — 247 ქულა, 2. მახარაძე — 219, 3. ქუთაისი — 209, 4. ბორჯომი — 149, 5. აჭარა — 117, 6. საგარეჯო — 114.

პირადი. 48 კგ. 1. ა. ბოლქვაძე (მახარაძე), 2. ზ. მიქაბაძე (გარდაბანი), 3. ო. ბაკურიძე (აჭარა).

52 კგ. 1. მ. ჭაკნელიძე (მახარაძე), 2. ნ. პატაშვილი (ყვარელი), 3. ხ. ჭანკვეტაძე (ქუთაისი).

57 კგ. 1. დ. მულაძე, 2. ჰ. ტეტუნაშვილი (ორივე — ბორჯომი), 3. ო. თავართქილაძე (აჭარა).

62 კგ. 1. თ. ყაზარაშვილი (საგარეჯო), 2. გ. გოგელია (მახარაძე), 3. დ. კირცხალია (თბილისი).

68 კგ. 1. გ. ჩხატარაშვილი (მახარაძე), 2. ზ. ხურცილავა (სოხუმი), 3. გ. არველაძე (სამტრედია).

74 კგ. 1. გ. ადეიშვილი (სამტრედია), 2. ქ. კოზაევი (თბილისი), 3. გ. გაბიძაშვილი (სოხუმი).

82 კგ. 1. დ. აბრამიშვილი (თბილისი), 2. ო. ქვაჩაკიძე (ქუთაისი), 3. გ. მშვენიერაძე (ზესტაფონი).

90 კგ. 1. დ. აბრამიშვილი (ჭიათურა), 2. კ. საყვარელიძე (ქუთაისი), 3. ზ. მაისურაძე (საგარეჯო).

100 კგ. 1. ზ. გოგია (ცხაკაია), 2. გ. ანდრიაძე (წულუკიძე), 3. ც. ვაშაკიძე (გარდაბანი).

130 კგ. 1. დ. კუპრაძე (რუსთავი), 2. ბ. ჩანჩიბაძე (თბილისი), 3. ვ. ბერიძე (თბილისი).

პროფკავშირულ კოლექტივებში

დამთავრდა მუშათა სპარტაკიადა

დამთავრდა პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების წულუკიძის რაიონული საბჭოს მუშათა პირველი სპარტაკიადა, რომელიც სპორტის 10 სახეობაში ჩატარდა, სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა: ბაგირის გადაძალვა, ლახტი, მძლეოსნობა, მშდ მრავალჭიდი, გირების აწევა, მინი ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი და შაში.

ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და წარმოება-დაწესებულებათა 14 ფიზკულტურის კოლექტივის 200-ზე მეტმა მუშა-ფიზკულტურელმა.

საუკეთესოდ იასპარეზეს სოფელ დედალაურის სვერდლოვსკის სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა, რომლებმაც 84 ქულა მოაგროვეს და დამსახურებულად მოიპოვეს მუშათა პირველი სპარტაკიადის ჩემპიონის საპატიო წოდება (კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ჯ. რუხაძე, ფიზკულტურის მეთოდისტი მ. ფანცულაია). მეორე ადგილი 63 ქულით წილად ხვდა წულუკიძის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის ფიზკულტურის კოლექტივს, 51 ქულით მესამე იყო წულუკიძის ალ. წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობა.

ე. კაკაურიძე,
პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რაისაბჭოს თავმჯდომარე.

მკითხველი — გაზეთი

პატივცემულო რედაქცია!

ამ ცოტა ხნის წინათ ჩხოროწყუს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ჩაატარა საჭადრაკო ტურნირი შვეიცარიული სისტემით, 8 ტურად, სადაც დანიშნული ვიყავი მთავარ მსაჯად.

მეორე ტურიდან საპატიო მიზეზით შეჯიბრებას გამოეთიშა ის მონაწილე, რომელიც ამ ტურში შეჯიბრებაში გამარჯვებულის მოწინააღმდეგე გამრდგა. როგორც წესი, გამოუცხადებლობისათვის მას დაეწერა ნული, ხოლო მოწინააღმდეგეს ერთი ქულა. საბოლოოდ პირველ ადგილზე გასულ მოჭადრაკეს დაუგროვდა 7,5 ქულა, მეორე ადგილზე გასულს — 7. იგი მოითხოვს გამარჯვებულისათვის იმ ქულის ჩამორთმევას, რომელიც მას მეორე ტურში დაეწერა.

გთხოვთ განმიმარტოთ, რამდენად სწორია ჩემი გადაწყვეტილება I-II ადგილების განაწილებაში.

გრიშა ჯალალონია,
ჩხოროწყუს რაიონი, სოფელი ხაბუმე.

პატივცემულო გრიშა!

თქვენი გადაწყვეტილება I-II ადგილების განაწილებაში სავსებით სამართლიანია.

შვეიცარიული სისტემით ჩატარებულ შეჯიბრებებში, მონაწილის გამოუცხადებლობისა და გამოთიშვის შემთხვევაში მას ჩაეთვლება წაგება (ე. ი. მინუსი დაეწერება), მოწინააღმდეგეს კი მოგება (პლუსი). ეს შედეგი მოქმედებს ადგილების განაწილების დროსაც. თუ თქვენ გამარჯვებულს ჩამოართმევთ ერთ ქულას, მაშინ მას საბოლოო ჯამში, ტურნირში ერთი პარტიით ნაკლები ნათამაშები გამოუდის.

თუ შეჯიბრება წრიული სისტემით ჩატარდებოდა, მაშინ ეს ქულა გამარჯვებულს არ ჩაეთვლებოდა; თუ შეჯიბრებაში გამოთიშულ მოჭადრაკეს ნათამაშები ექნებოდა მონაწილეებთან ნახევარზე ნაკლები რაოდენობის პარტია, ამ შემთხვევაში მის მიერ ნათამაშები პარტიები გაუქმებულად ითვლება და მისი გვარი სატურნირო ცხრილიდან ამოიშლება, ხოლო თუ შეჯიბრებიდან გამოთიშულ მოჭადრაკეს ნათამაშები ექნებოდა მონაწილეებთან ნახევარზე მეტი რაოდენობის პარტია, მაშინ ნათამაშები პარტიების შედეგები ძალაში რჩება, ხოლო დანარჩენ შეხვედრებში მას დაეწერებოდა „მინუსი“, მოწინააღმდეგეს კი „პლუსი“.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ხობის „კოლხეთისა“ და ზუგდიდის „დინამოს“ მატჩში მომხდარი უმსგავსობების საკითხი განიხილა პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ. მან მკაცრი შეფასება მისცა მომხდარ ამბავს, ხობის რაიონის პროფკავშირების ნებაყოფლობითი საზოგადოების რაიონული საბჭოს მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს დადგენილების „სპორტულ-მასობრივ ღონისძიებათა ჩატარების დროს სანიმუშო წესრიგის უზრუნველყოფის“ შესრულების საქმეში.

ბიუროს სხდომაზე დადგინდა მთელი რიგი უხეში დარღვევები ხობის სტადიონისა და სპორტსაზოგადოების რაიონული საბჭოს ხელმძღვანელების მიერ აღნიშნული მატჩის ჩატარების დროს.

შემოწმებით დადგინდა, რომ 18 სექტემბერს ხობის სტადიონზე არსებული წესის სრული დარღვევით რეალიზებული იყო 3600 ბილეთით მეტი, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სტადიონის გამტარუნარიანობით (დადგენილია 5100 ადგილი), რაც უწესრიგობის ერთ-ერთ გამომწვევ პირობად უნდა ჩაითვალოს. გარდა ამისა, რაისაბჭოს თავმჯდომარემ და სტადიონის ადმინისტრაციამ (დ. თუთბერიძე, ჯ. რუხაძე) ვერ უზრუნველყვეს ხობის სტადიონზე წესრიგის დაცვის ელემენტარული წესები, გაუგებარი მიზეზით მატჩის დამთავრების შემდეგ ჩაკეტილი აღმოჩნდა სტადიონის მეორე გასასვლელი, რამაც მაყურებლის ნაკადის ცალმხრივი მოძრაობა გამოიწვია და ამით მაყურებლის ევაკუაციის საშუალები საგრძნობლად შეამცირა.

პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს ბიურომ პრინციპული შეფასება მისცა ზემოაღნიშნულ დარღვევებს, მიზანშეწონილად ჩათვალა სტადიონის დირექტორის ჯ. რუხაძის დატოვება აღნიშნულ თანამდებობაზე გაითვალისწინა რა პარტიის ხობის რაიონული კომიტეტის მეორე მდივნის კ. ჯობავას წერილი საბჭოს სახელზე, სადაც მომხდარ ფაქტზე მთელი პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს სხვა ამხანაგებს, დ. თუთბერიძისა და ჯ. რუხაძის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველად დააყენა პარტიის რაიონული კომიტეტის წინაშე.

აქვე გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ გატარებულია ქმედითი ღონისძიებები ფეხბურთში საქართველოს პირველობის მატჩების ჩატარების დროის წესრიგის დამყარების უზრუნველსაყოფად.

ნ. ებრალიძე,
საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე.

I ლიგის საგზურებისათვის

დასასრულს მიუახლოვდა II ლიგის ზონებში გამარჯვებული ფეხბურთელთა გუნდების, გადასასვლელი ტურნირის მატჩები: **„ა“ ჯგუფში:** ფერგანის „ნეფტიანიკმა“ ფრედ — 1:1 დაამთავრა შეხვედრა კიშინიოვის „ნისტრუსთან“. მდგომარეობა ბოლო ტურის წინ ამ ჯგუფში ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ნისტრუ“	3	2	1	0	5-2	5
„ნეფტიანიკი“	4	2	1	1	3-2	5
„ირტიში“	3	0	0	3	1-5	0

„ბ“ ჯგუფში: „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ბუკოვინა“ (ჩერნოვცი) 0:2.

„ბუკოვინა“	3	3	0	0	6-2	6
„ფაკელი“	3	2	0	1	7-2	4
„ურალმაში“	4	0	0	4	1-10	0

როგორც ცხრილებიდან ჩანს, I ლიგის საგზურების გამარჯვებულთა ვინაობა ბოლო შეხვედრებში გადაწყდება. შეგახსენებთ, რომ „ბ“ ჯგუფში, სადაც ქუთაისის ტორპედოელები გამოდიან, ჩასატარებელი დარჩა ერთი შეხვედრა. ქუთაისელებს გასვლითი მატჩი აქვთ ნოვოროსიისკში „ცემენტთან“. მათ ამ მატჩის წინ 4 ქულა აქვთ, „ცემენტს“ კი — 3. პირველი ლიგის საგზურის მოსაპოვებლად „ტორპედოს“ ფრეც ხელს აძლევს. ეს შეხვედრა ნოვოროსიისკში დღეს, 12 ნოემბერს გაიმართება. მატჩის რადიორეპორტაჟი 19 საათზე.

„ტყავის ბურთის“ პრიზზე

აუხაბადში დამთავრდა „ტყავის ბურთის“ საკავშირო გათამაშება ფეხბურთში (საუნალო ასაკი). პირველი ადგილი სევანის „ახტამარს“ ხვდა წილად. სევანელებმა ფინალურ მატჩში დაამარცხეს წულუკიძის „ხონი-88“ 5:3.

ამ ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკა ორი გუნდით იყო წარმოდგენილი — „ხონი-88“ (წულუკიძის რაიონი) და საჩხერის „იმედი“.

იტალიის ფეხბურთის სიახლენი

იტალიის თასის გათამაშებაში გამოვლინდა რვა გუნდი, რომლებიც განაგრძობენ ბრძოლას ჯილდოსათვის. ესენია: „ვერონა“, „ნაპოლი“ „ლაციო“, „ასკოლი“, „სამპდორია“, „პიზა“, „ლეჩე“ და „ატალანტა“.

„რომას“ მწვრთნელმა „ლიდჰოლმმა, როგორც ჩანს, ბრაზილიური ორიენტაცია აიღო. გუნდმა უკვე შეიძინა რენატო და ანდრადე. ახლა კი ოლიმპიური ნაკრების მცველს ანდრე კრუზს დაადგა თვალი. თუ კონტრაქტი გაფორმდა, კრუზი დროებით „კომოში“ ითამაშებს („რომას“ უცხოელ ფეხბურთელთა შესყიდვის ლიმიტი ამოწურული აქვს).

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

ამ დღეებში გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების მეორე ტურის საპასუხო მატჩები. განვლო ამ ეტაპმაც და გამოირკვა, რომ ჩვენი ქვეყნის 6 კლუბიდან, რომლებმაც 1988-89 წლების გათამაშება დაიწყეს, ვერც ერთმა ვერ მიაღწია შემდგომი, მესამე ტურის ეტაპს. პირველ ტურში შეჯიბრებას გამოეთიშა 3 ჩვენი კლუბი, ხოლო მეორეში — დარჩენილი 3 კლუბიც.

ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში — ჩემპიონთა თასზე გამოდიოდა მოსკოვის „სპარტაკი“. მან პირველი თამაში ბუქარესტში დიდი ანგარიშით წაგო რუმინეთის საუკეთესო გუნდთან „სტიაუასთან“ — 0:3. „სტიაუას“ მაღალი სპორტული ავტორიტეტი, მის მიერ ბოლო წლებში მოპოვებული ბრწყინვალე წარმატებები ნათლად დადასტურდა ჩემპიონთა თასის ორ მატჩში, რომელიც რუმინელმა ფეხბურთელებმა დიდი უპირატესობით მოუგეს მეტოქეს.

ძნელი იყო საბოლოო წარმატებაზე ფიქრი ორრაუნდიან შეხვედრაში, მაგრამ „სპარტაკს“ შეეძლო დირსეულად ჩაეტარებინა საპასუხო მატჩი, რომელიც მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე შედგა. ამ დღეს მოსკოვში ციოდა, სათამაშო მინდორი მოიყინა და ამ პირობებშიც ბუქარესტის გუნდმა მეტოქეზე გაცილებით უკეთესი შესაძლებლობანი გამოავლინა, უფრო ძლიერად, ტექნიკურად, გამართულად იბრძოდა და ცხადყო, რომ სპარტაკელებს წარმატების არავითარი შანსი არ ჰქონდათ. რუმინელები ჯერ კიდევ მე-11 წუთზე დაწინაურდნენ (ლეკეტუში), ტაიმის დასასრულს ჩერენკოვმა საპასუხო ბურთი გაიტანა, მაგრამ დარჩენილ დროში სტუმრებმა კვლავ საუკეთესოდ ითამაშეს და მეორე ბურთიც გაიტანეს (ბალინტი).

სპარტაკელთა მარცხი ფრიად დასანანია, მაგრამ ამ წყვილის განვლილი მატჩებიდან მხოლოდ ერთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: „სტიაუა“ ფეხბურთის ყველა კომპონენტით „სპარტაკზე“ ერთი თავით მაღლა იდგა.

გათამაშების მიღმა დარჩა თასების მფლობელთა თასის ტურნირში მონაწილე ხარკოვის „მეტალისტიც“. ხარკოველებს პირველი თამაში ჰოლანდიის ქალაქ კერკრადეს „როდასთან“ წაგებული ჰქონდათ მინიმალური ანგარიშით — 0:1. საპასუხო მატჩში საკუთარ მინდორზე „მეტალისტმა“ ვერაფერი გააწყო, თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0, თასების მფლობელთა თასის შეჯიბრებასაც ჰოლანდიელი ფეხბურთელები განაგრძობენ.

დაბოლოს, უეფა-ს თასის საპასუხო მატჩი ბუქარესტის „ვიქტორიასა“ და მინსკის „დინამოს“ შორის. შინ პირველი მატჩის მოგების შემდეგ (2:1) მინსკელთა პერსპექტივა უიმედო არ იყო, მათ მონდომებით ითამაშეს ბუქარესტში, მაგრამ ამ აქტიურობას შედეგი არ მოჰყოლია, მასპინძლებმა კი 56-ე წუთზე ზუსტად დაარტყეს 11-მეტრიანი (სოლომონი) და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0, რამაც უეფა-ს თასის ტურნირის III ტურში მონაწილეობის უფლება გაუნაღდა. ორი მატჩის ჯამში ანგარიში თანაბარი იყო — 1:2 და 1:0, მაგრამ მეტოქის მინდორზე გატანილმა ბურთმა „ვიქტორიას“ წარმატება მოუტანა.

განვლილი ტურის მატჩებში ევროპულ ტურნირებზე მრავალი საინტერესო რამ მოხდა. მაგალითად, იტალიის ცნობილმა „მილანმა“ ჩემპიონთა თასის პირველი მატჩი შინ მხოლოდ ფრედ დაამთავრა იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდასთან“ (1:1), მილანელები საპასუხო შეხვედრაში, რომელიც ბელგრადში შედგა, 56-ე წუთისთვის აგებდნენ ანგარიშით 0:1, მაგრამ სწორედ ამ დროისთვის მინდორზე დაეშვა სქელი, გაუმჭვირვალი ბურუსი და დასავლეთგერმანელი არბიტრი დ. პაული იძულებული იყო შეეწყვიტა თამაში. „მილანის“ შემადგენლობაში მეორე დღეს გამოსვლის უფლება აღარა ჰქონდათ წამყვან ფეხბურთელებს ვირდისსა და ანჩელოტის, ვინაიდან ვირდისი მინდვრიდან გააძევეს, ხოლო ანჩელოტიმ მეორე გაფრთხილება დაიმსახურა, მაგრამ იტალიელთა რიგებში იმყოფებიან ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელები ვან ბასტენი და გულიტი...

განმეორებითი მატჩი, რომელიც 10 ნოემბერს შედგა იმავე სტადიონზე, ფრედ დამთავრდა — 1:1. საჭირო შეიქნა დამატებითი 11-მეტრიანების სერიის შესრულება, აქ კი იტალიელები უფრო ზუსტნი აღმოჩნდნენ — 4:2.

საყურადღებოა თურქეთის „გალათასარაისა“ და შვეიცარიის „ქსამაქსის“ შეხვედრათა საერთო შედეგი: პირველი მატჩი მოიგეს შვეიცარიელებმა — 3:0, „გალათასარაიამ“ კი თავის მინდორზე საპასუხო მატჩში 5 „შრალი“ ბურთი გაიტანა მეტოქის კარში. საფრანგეთის „მონაკოს“ პირველი შეხვედრა ბელგიის „ბრიუგესთან“ წაგებული ჰქონდა ანგარიშით 0:1, სამაგიეროდ „მონაკომ“ შინ რევანში აიღო ანგარიშით 6:1.

გთავაზობთ ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის მეორე ეტაპის საბოლოო შედეგებს.

ჩემპიონთა თასი მერვედფინალი

„სპარტაკი“ (მოსკოვი, სსრ კავშირი) — **„სტიაუა“ (ბუქარესტი, რუმინეთი)** 1:2 (0:3).

„ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — **„მილანი“ (იტალია).** გადათამაშება. 1:1 (1:1), პენალტებით — 2:4.

„გალათასარაი“ (თურქეთი) — „ქსამაქსი“ (შვეიცარია) 5:0 (0:3)

„ვერდერი“ (გფრ) — „სელტიკი“ (შოტლანდია) 0:0 (1:0)

„პორტო“ (პორტუგალია) — **„ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია)** 2:0 (0:5)

„გეტებორგი“ (შვეცია) — „17 ნენტორი“ (ალბანეთი) 1:0 (3:0)

„მონაკო“ (საფრანგეთი) — „ბრიუგე“ (ბელგია) 6:1 (0:1)

თასების მფლობელთა თასი მერვედფინალი

„მეტალისტი“ (ხარკოვი, სსრ კავშირი) — **„როდა“ (ჰოლანდია)** 0:0 (0:1)

„ანდერლეჰტი“ (ბელგია) — **„მეჰელენი“ (ბელგია)** 0:2 (0:1)

„დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია) 1:1 (1:0)

„ლეჩი“ (ევროპეთი) — **„ბარსელონა“ (ესპანეთი)** 1:1 (1:1). დამატებითი პენალტებით 7:6.

„ვალადოლიდი“ (ესპანეთი) — „ლოკომოტივი“ (გდრ) 3:1 (1:1)

„საქარიასპორი“ (თურქეთი) — **„აინტრაჰტი“ (ფრანკფურტი, გფრ)** 0:3 (1:3)

„პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი) — **„სრედეცი“ (ბულგარეთი)** 0:1 (0:2)

„ორპუსი“ (დანია) — „კარდიფ სიტი“ (უელსი) 4:0 (2:1)

უეფა-ს თასი მეთექვსმეტედფინალი

„ვიქტორია“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „დინამო“ (მინსკი, სსრ კავშირი) 1:0 (1:2)

„რეალი“ (სან-სებასტიანი, ესპანეთი) — „სპორტინგი“ (პორტუგალია) 0:0 (2:1)

„აუსტრია“ (ავსტრია) — **„ჰართსი“ (შოტლანდია)** 0:1 (0:0)

„ნაპოლი“ (იტალია) — „ლოკომოტივი“ (ლაიფციგი, გდრ) 2:0 (1:1)

„შტუტგარტი“ (გფრ) — „დინამო“ (ზაგრები, იუგოსლავია) 1:1 (3:1)

„ბორდო“ (საფრანგეთი) — „უიპეშტ დოჟა“ (უნგრეთი) 1:0 (1:0)

„გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — **„კიოლნი“ (გფრ)** 1:1 (0:2)

„ატლეტიკი“ (ბილბაო, ესპანეთი) — **„იუვენტუსი“ (იტალია)** 3:2 (1:5)

„დუნაისკა სტრადა“ (ჩეხოსლოვაკია) — **„ბაიერნი“ (გფრ)** 0:2 (1:3)

„ვარეგემი“ (ბელგია) — **„დინამო“ (დრეზდენი, გდრ)** 2:1 (1:4)

„ტურუნ პალოსეფარა“ (ფინეთი) — „ვიენა“ (ავსტრია) 1:0 (1:2)

„ინტერი“ (იტალია) — „მალმე“ (შვეცია) 1:1 (1:0)

„ბენფიკა“ (პორტუგალია) — **„ლიეჟი“ (ბელგია)** 1:1 (1:2)

„სერვეტი“ (შვეიცარია) — **„გრონინგენი“ (ჰოლანდია)** 1:1 (0:2)

„რომა“ (იტალია) — „პარტიზანი“ (ბელგრადი, იუგოსლავია) 2:0 (2:4)

უეფა-ს თასის გათამაშებაში წლის დასასრულამდე გაიმართება მერვედფინალური ეტაპის შეხვედრები. მატჩები შედგება 27 ნოემბერსა და 7 დეკემბერს.

შენიშვნა: ხაზგასმულია გუნდები, რომლებიც გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავიდნენ.

ფეხბურთი

ნორჩ დინამოელთა წარმატებები გრძელდება

ამას წინათ ბათუმში გაიმართა „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პირველობა ფეხბურთში 15 წლის ასაკის ფეხბურთელთათვის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდისა და გაგრის გუნდები.

თბილისისა და ბათუმის კოლექტივებმა დასკვნით ტურამდე დაუმარცხებლად ჩაატარეს შეხვედრები, მაგრამ თბილისელებს ერთი ფრე ჰქონდათ, ხოლო ბათუმელებს — ქულათა მაქსიმუმი.

გადამწყვეტ მატჩში ბათუმელებს ფრეც ხელს აძლევდა, მაგრამ ნორჩმა თბილისელმა დინამოელებმა ომავლობით ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0. მათ შეინარჩუნეს საპატიო პრიზი (მწვრთნელები, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელები ო. გეგეჭკორი და ბ. სიჭინავა). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ბათუმისა და ქუთაისის გუნდები.

ასპარეზობაზე დაწესებული იყო სპეციალური პრიზები. საუკეთესო მეკარის ჯილდო დაიმსახურა ბათუმელმა ვ. ჩხაიძემ, მცველისა — შ. აბრამიშვილმა, ნახევარმცველისა— გ. ქინქლაძემ, ხოლო თავდამსხმელისა პ. ცერცვაძემ, ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელის პრიზი წილად ხვდა გ. ანჩაბაძეს (ყველა— თბილისი).

სურათზე: რესპუბლიკურ ტურნირში გამარჯვებული თბილისის „ნორჩი დინამოელის“ კოლექტივი.



საერთაშორისო ფეხბურთი: ევროკუბები, ჩემპიონატები

გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები:

ჩეხოსლოვაკია

XI ტური. „დუკლა“ — „ბოჰემიანსი“ 0:0, „ინტერი“ — „სპარტა“ 1:2, „ნიტრა“ — „დუნაისკა სტრედა“ 2:1, „ჰრადეც კრალოვი“ — „სლოვანი“ 0:3, „რუდა ჰვეზდა“ — „ბანიკი“ 1:2, „ოლომოუცი“ — „ტრნავა“ 1:0, „სლავია“— „ბანსკა ბისტრიცა“ 4:2, „ვიტკოვიცე“ — „პლზენი“ 4:1.

„სპარტა“	11	28:9	18
„სლავია“	11	24:18	17
„ბანიკი“	11	18:11	15

ინგლისი

X ტური. „ნორვიჩი“ — „საუთჰემპტონი“ 1:1, „მიდლსბრო“ — „მილუოლი“ 4:2, „ვესთ ჰემი“ — „ლივერპული“ 0:2, „არსენალი“ — „ქოვენთრი“ 2:0, „ლუტონი“ — „ქუინს პარკი“ 0:0, „ჩარლტონი“ — „შეფილდი“ 2:1, „დერბი“ — „უიმბლდონი“ 4:1, „ნიუკასლი“— „ნოტინგემი“ 0:1, „ევერტონი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ 1:1, „ასტონ ვილა“ — „ტოტენჰემი“ 2:1.

„ნორვიჩი“	10	18:11	23
„არსენალი“	9	22:13	17
„მილუოლი“	9	17:13	16

გფრ

XII ტური. „ლევერკუზენი“ — „ბოჰუმი“ 1:1, „ჰამბურგი“ — „კარლსრუე“ 1:1, „შტუტგარტი“—„მანჰეიმი“ 2:0, „ბაიერნი“ — „შტუტგარტ კიკერსი“ 3:0, „ჰანოვერი“— „სენტ პაული“ 2:2, „დორტმუნდი“ — „კიოლნი“ 0:4, „ვერდერი“ — „იუნდინგენი“ 3:1, „მონჰენგლადბახი“ — „ნიურნბერგი“ 1:1, „კაიზერსლაუტერნი“ — „ფრანკფურტი“ 3:0.

„ბაიერნი“	11	24:7	17
„შტუტგარტი“	10	19:6	15
„ჰამბურგი“	12	19:12	15

იტალია

IV ტური. „ატალანტა“ — „ბოლონია“ 2:0, „ჩეზენა“ — „ნაპოლი“ 0:1, „იუვენტუსი“ — „მილანი“ 0:0, „ფიორენტინა“—„ტორინო“ 2:1, „ინტერი“ — „რომა“ 2:0, „ლაციო“ — „კომო“ 1:1, „ლეჩე“ — „პიზა“ 1:0, „პესკარა“ — „ვერონა“ 0:0, „სამპდორია“ — „ასკოლი“ 1:0.

„ინტერი“	4	9:2	7
„სამპდორია“	4	7:3	7
„ნაპოლი“	4	10:3	6

ესპანეთი

VIII ტური. „მალაგა“ — „ოვიედო“ 1:1, „რეალი“ — „ბარსელონა“ 3:2, „ესპანიოლი“ — „კადისი“ 0:2, „ელჩე“ — „ატლეტიკო“ (მადრიდი) 1:3, „ვალენსია“— „სევილია“ 1:0, „ოსასუნა“ — „ბილბაო“ 1:0, „ხიხონი“ — „ლოგრონიესი“ 3:0, „ბეტისი“ — „მურსია“ 3:0, „სარაგოსაა“ — „ვალადოლიდი“ 2:0, „სან-სებასტიანი“ — „სელტა“ გადაიდო.

„რეალი“	8	17:5	13
„ბარსელონა“	8	19:9	12
„ვალენსია“	8	8:4	11

ბელგია

XIII ტური. „ვარეგემი“—„სენტ ტრიუდენი“ 3:0, „სტანდარდი“ — „ბრიუგე“ 0:0, „სერკლი“ — „ლიეჟი“ 1:1, „გენკო“ — „კორტრიკი“ 0:2, „ზოლენბეკი“ — „შარლეროა“ 2:1, „რესინგი მეჰელენი“ — „ბეერსკოტი“ 1:0, „ანტვერპენი“ — „ანდერლეჰტი“ 2:1, „ლიერსი“ — „მეჰელენი“ 2:1, „ბევერენი“ — „ლოკერენი“ 0:3.

შოტლანდია

XI ტური. „დანდი იუნაიტედი“ — „სენტ მირენი“ 0:1, „ჰართსი“ — „სელტიკი“ 0:2. „მოზერეული“ — „ჰიბერნიანსი“ 1:1. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

„რეინჯერსი“	10	17
„აბერდინი“	10	14
„დანდი იუნაიტედი“	11	13

პოლონეთი

XII ტური. „შჩეცინი“ — „ოლიმპია პოზნანი“ 3:2, „მელეცი“ — „სლასკი“ 3:0, „კრაკოვი“ — „ვალბრჟიხი“ 1:2, „ლენი“ — „კატოვიცე“ 2:2, „ხოჟუვი“ — „ზაბჟე“ 2:0, „ვიძევი“ — „ლეგია“ 0:0, „იასტრებიე“ — „ბიტომი“ 1:0, „ბიალისტოკი“ — „ლკს“ 1:3.

„გურნიკ ზაბჟე“	12	20
„კატოვიცე“	12	19
„რუხი ხოჟუვი“	12	19

იუგოსლავია

XI ტური. „რიეკა“ — „ზენიცა“ 2:1, „ჟელეზნიჩარი“ — „პარტიზანი“ 1:0, „ველეჟი“ — „ნოვი სადი“ 0:1, „ვარდარი“ — „დინამო“ 0:1, „ცრვენა ზვეზდა“ — „სარაევო“ 3:1, „ოსიეკი“ — „ტუზლა“ 3:1, „ტიტოგრადი“ — „კრუშევაცი“ 2:1, „რადნიჩკი ბელგრადი“ — „ჰაიდუკი“ 0:1, „სუბოტიცა“ — „რადნიჩკი ნიში“ 1:3.

„ვოივოდინა“ (ნოვი სადი)	11	14
დინამო“ (ზაგრები)	11	13
„ჰაიდუკი“ (სპლიტი)	11	13

უნგრეთი

XI ტური. „ბეკეშჩაბა“ — „სიოფოკი“ 2:0, „სომბათჰეი“ — „დოჟა“ 0:4, „პეჩი“ — „ვესპრემი“ 1:2, „გიორი“ (რაბა ეტო) — „ვაშაში“ 4:2, „ჰონვედი“ — „დუნაივაროში“ 3:0, „ზალაეგერსზეგი“ — „ვიდეოტონი“ 2:2 (5:3), მტკ — ვაკი 4:0, „ტატაბანია“ — „ფერენცვაროში“ 2:1.

მტკ	11	25
„ვიდეოტონი“	11	22
„ჰონვედი“	11	21

შვეიცარია

XVII ტური. „ქსამაქსი“ — „გრასჰოპერსი“ 4:0, „ლოზანა“ — „იიხგ ბოისი“ 1:4, „ყეოვეტი“ — „არაუ“ 1:0, „ვეტინგენი“ — „სენტ გალენი“ 0:0, „ლუცერნი“ — „ბელინცონა“ 2:1, „ლუგანო“ — „სიონი“ 0:3.

„სიონი“	17	21:11	22
„ლუცერნი“	17	21:20	22
„გრასჰოპერსი“	17	30:22	20

ჰოლანდია

XI ტური. „გრონინგენი“ — „ცვოლე“ 3:0, „ჰარლემი“ — „სპარტა“ 2:0, „ეინდჰოვენი“ — „ტვენტე“ 3:0, „ვენლო“ — „სიტარდი“ 1:2, „ვალვიკი“ — „როდა“ 1:4, „ვოლენდამი“ — „დენ ბოში“ 2:0, „ფეიენოორდი“ — „ტილბურგი“ 5:0, „მაასტრიჰტი“ — „ვეენდამი“ 1:2, „უტრეჰტი“ — „აიაქსი“ 1:1.

„ეინდჰოვენი“	11	19
„ტვენტე“	11	15
„როდა“	11	15

საფრანგეთი

XVII ტური. „კანი“ — „ბორდო“ 1:1, „მონაკო“ — „ლანი“ 1:0, „კაენი“ — „ლავალი“ 1:1, „ტულონი“ — „რესინგი“ 1:0, „ოსერი“ — „სტრასბურგი“ 2:1, „ლილი“ — „ნიცა“ 2:0, „ტულუზა“ — „სენტ ეტიენი“ 3:1, „სოშო“ — „მონპელიე“ 2:0, „ნანტი“ — „მეცი“ 1:0, „სენ ჟერმენი“ — „მარსელი“ 0:0.

„პარი სენ ჟერმენი“	17	23:11	34
„ოსერი“	17	25:15	33
„ოლიმპიკი მარსელი“	17	26:18	31

(სპ. ინფ.)

„დინამოს“ ორი ქულა დააკლდა

კორაჩის თასზე

პირველი. როგორც ცნობილია, კორაჩის თასის პირველი მატჩი თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა შინ 21 ქულის სხვაობით დათმეს — 75:96. ასეთი დეფიციტის ლიკვიდაცია საპასუხო მატჩში ბევრს შეუძლებლად მიაჩნდა, მაგრამ თბილისელებმა პირდაპირ სასწაული მოახდინეს და განმეორებითი შეხვედრის ძირითადი დრო ზუსტად 21 ქულით მოიგეს — 104:83.

დაინიშნა დამატებითი ხუთი წუთი, რომელშიც ერთხანს უპირატესობა დინამოელთა მხარეს იყო. მათ მოიგეს კიდეც მატჩი ანგარიშით. 113:93, მაგრამ 20-ქულიანი სხვაობა გათამაშების მომდევნო ტურში გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა.

• • •

გაიმართა კორაჩის თასის სხვა მატჩებიც. კიევის „სტროიტელმა“ პირველი შეხვედრა დასავლეთგერმანიის „შარლოტენბურგთან“ შინ 13 ქულით ჰქონდა მოგებული. მეორე მატჩის პირველ ნახევარში ინიციატივას კვლავ „სტროიტელი“ ფლობდა — 45:34, მაგრამ შესვენების შემდეგ დასავლეთგერმანელმა კალათბურთელებმა თამაშში გარდატეხა შეიტანეს და გაიმარჯვეს — 85:82. ამის მიუხედავად გათამაშების მეორე ეტაპზე საბჭოთა კალათბურთელები გავიდნენ.

სკანდალური შემთხვევა მოხდა ბელგრადში, სადაც ერთმანეთს ადგილობრივი „ცრვენა ზვეზდა“ და საბერძნეთის პაოკ-ის ხვდებოდნენ. ბერძნებს ძვირად დაუჯდათ თავიანთი ამერიკელი მწვრთნელის ჯონ ნიუმენის თავაშვებული საქციელი. დამატებითი ტაიმის წინ მსაჯის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ნიუმენმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა არბიტრს, რის გამოც შეხვედრა, ცხადია, შეწყდა. ქიურის გადაწყვეტილებით პაოკ-ს წაგება ჩაეთვალა, „ცრვენა ზვეზდა“ კი მომდევნო ტურში გავიდა.

ორი შეხვედრის ჯამში საპატიო პრიზისთვის ბრძოლას განაგრძობენ, აგრეთვე, „ზადარი“ (იუგოსლავია), „ესტუდიანტესი“ (ესპანეთი), „ორტეზი“ (საფრანგეთი), „დენ ჰელდერი“ (ჰოლანდია), „აპოელი“ (ისრაელი), „პარტიზანი“ (იუგოსლავია), „ოლიმპია სიმაკი“ (იტალია), „კანტუ“ (იტალია), „ხუვენტუდი“ (ესპანეთი), „სარაგოსა“ (ესპანეთი), „ასუბელ მარიემბურგი“ (ბელგრადი), „შეჰელენი“ (ბელგია).

რედაქციისაგან: მკითხველს ალბათ ახსოვს, თბილისში ბერძენ კალათბურთელებთან წაგებული პირველი მატჩის შემდეგ „ლელოში“ გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი, სადაც თბილისელთა გუნდის კაპიტნის გელა დარსაძის პასუხისმგებლობის მოდუნებას და თანაგუნდელებისადმი მის უხეშ დამოკიდებულებაზე აღვნიშნავდით. ძნელი იყო ჩვენთვის სახელოვანი სპორტსმენის მიუტევებელი შეცდომების ასე საჯაროდ მხილება, მაგრამ აღარც მეტის მოთმენა შეიძლებოდა. იყო თუ არა სწორი გაზეთის გამოსვლა? არ დავმალავთ, გულშემატკივრების ერთმა ჯგუფმა სწორად მიიჩნია კრიტიკა, მცირე ნაწილმა კი არ მოგვიწონა საქციელი და გაგვაკრიტიკა, სითამამისთვის. დაწვრილებითი ამბები საბერძნეთში გამართული მატჩის შესახებ ჯერ არ ვიცით, მაგრამ რაც ვიცით, ისიც სრულიად საკმარისია იმის სათქმელად, რომ გაზეთისა და თვით დინამოელთა კოლექტივის პოზიცია, რომელმაც უარი უთხრა დარსაძეს და ხანაძეს საბერძნეთში გამგზავრებაზე, სწორი გამოდგა. ნათქვამია, ვინც დროზე შველის, ის ორმაგად შველისო. თუ ეს მძიმედ გადასადგმელი ნაბიჯი მაინც აუცილებელი იყო, მაშინ, ვთქვათ პირდაპირ, მოსახდენი, რაც უფრო ადრე მოხდებოდა, მით უკეთესი.

ჩვენს სპორტში წარსულ დამსახურებას არავინ არავის უკარგავს და არც არასოდეს დაუკარგავს, მაგრამ, როცა თავს ამბიციურობა იჩენს, მაშინ ვერც ამას ითმენს ჩვენი სპორტის ინტერესები.

ლიდერთა ჯგუფში იმყოფებიან

სიმფეროპოლში დაიწყო სსრ კავშირის I ლიგის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატი.

წილისყრის მიხედვით მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასეთი თანამიმდევრობით განლაგდნენ: ლეონიდ იუდასინი, ალექსანდრე ხალიფმანი, ლეონიდ იურტაევი, ალექსეი კოვალიოვი, სერგეი სავჩენკო, სემიონ დვოირისი, ალექსეი დრეევი, ვლადიმირ მალანიუკი, ალექსანდრე ერმოლინსკი, ლაშა ჯანჯღავა, ანდრეი ხარიტონოვი, ვლადიმირ ტუკმაკოვი, გია გიორგაძე, ოლეგ რომანიშინი, მიხეილ ულიბინი, სმბათ ლპუტიანი, ალექსანდრე ბასინი, კონსტანტინე ლერნერი.

გათამაშებულია 5 ტური. გთავაზობთ ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკეების ტექნიკურ შედეგებს: დვოირისი-გიორგაძე — 1:0, ერმოლინსკი-ჯანჯღავა — 1:0; გიორგაძე-დრეევი — 1:0, ლერნერი-ჯანჯღავა — 0:1; მალანიუკი-გიორგაძე 0,5:0,5, ჯანჯღავა-ხარიტონოვი — 0,5:0,5; გიორგაძე-ერმოლინსკი — 1:0, ტუკმაკოვი-ჯანჯღავა 0,5:0,5, ჯანჯღავა-გიორგაძე — 0,5:0,5.

როგორც ხედავთ, გია გიორგაძეს ჯერჯერობით 3 ქულა აქვს, ლაშა ჯანჯღავას — 2,5 და ისინი ლიდერთა ჯგუფში იმყოფებიან. 3-3 ქულა აქვთ, აგრეთვე, ხალიფმანს, იურტაევს, სავჩენკოსა და ტუკმაკოვს, 3 ქულა და ერთი გადადებული პარტია — დვოირისს.

აქვე ვიტყვით, რომ I-IV ადგილების მფლობელები საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლებას მიიღებენ.

გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა

რეიკიავიკის „მსოფლიო თასის“ გათამაშების დამთავრების შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი კიოლნს გაემგზავრა, სადაც „სწრაფ ჭადრაკში“ შეხვდა ცნობილ დიდოსტატ ვლასტიმირ ჰორტს. დებულების თანახმად მეტოქეებს ერთი საღამოს მანძილზე სამჯერ უნდა ეთამაშათ, თითოეული პარტიისათვის განკუთვნილი ჰქონდათ 25-25 წუთი. გამარჯვებულს ჯილდოდ გადაეცემოდა ავტომანქანა „მერსედესი“ (რომელიც 50 ათასი მარკა ღირს) და ჰონორარი 20 ათასი მარკის . რაოდენობით. მატჩი ანგარიშით 2,5:0,5 მოიგო მსოფლიო ჩემპიონმა.

ევროპის ჩემპიონთა თასზე

შეჯიბრებას რვანი განაგრძობენ

დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მერვეფინალური შეხვედრები. იმ რვა გუნდს შორის, რომლებიც საპატიო ჯილდოსათვის ბრძოლას გააგრძელებენ, არის მოსკოვის არმიელთა კოლექტივიც. მან ბოლო მატჩში შინ ბულგარეთის „ბალკანს“ აჯობა — 87:68.

ასპარეზობას ცსკა-ს გარდა განაგრძობენ: „ნაშუა დენ ბოში“ (ჰოლანდია), „სკავოლინი“ (იტალია), „მაკაბი“ (ისრაელი), „იუგოპლასტიკა“ (იუგოსლავია), „არისი“ (საბერძნეთი), „ბარსელონა“ (ესპანეთი) და „ლიმოჟი“ (საფრანგეთი).

მეოთხედფინალის წილისყრა უახლოეს დღეებში მოეწყობა.



როგორც ცნობილია უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატში შესვენება დაიწყო. კალენდრის მიხედვით გათამაშება 2-3 დეკემბერს უნდა განახლდეს. ნოემბრის პირველ რიცხვებში კი გაიმართა რამდენიმე მატჩი.

„დიდი შესვენების“ წინ

დონეცკი. თბილისის დინამოელებმა კორაჩის თასის გათამაშების წინ აქ საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი გამართეს და ორივე წააგეს — 70:77 (34:39) და 71:75 (35:38).

ლენინგრადი. ადგილობრივი „სპარტაკისა და „ვილნიუსის „სტატიბას“ შეხვედრაში მეტოქეებმა ქულები გაიყვეს, პირველ მატჩში გამარჯვება სტუმრებმა მოიპოვეს — 88:59 (44:30), მეორეში — ნევისპირელებმა 90:63 (45:35).

მოსკოვი. გათამაშების ლიდერი ცსკა კვლავ წარმატებით გამოდის. ამჯერად მან რიგის ვეფ-ი დაამარცხა თანაც ორივეჯერ დიდი ანგარიშით — 126:83 (54:42) და 116:89 (58:40).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 ნოემბრისთვის

ცსკა	8	8	0	854-668	16
ასკ (ალმა-ათა)	10	6	4	999-967	16
„სტრ.“ (კიევი)	8	7	1	754-687	15
„სპარტ. (ლდ.)	10	5	5	799-845	15
„სტატ.“ (ვილნ.)	10	4	6	913-866	14
„კალევი“ (ტალ.)	10	4	6	824-868	14
„დინ.“ (მოსკ.)	8	4	4	800-783	12
რტი (მინსკი)	8	4	4	711-716	12
ვეფ (რიგა)	10	2	8	872-1024	12
„ჟალგ.“ (კაუნ.)	6	5	1	608-567	11
„შახტ.“ (დონ.)	8	2	6	637-712	10
„დინ.“ (თბ.)	8	1	7	667-740	9

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 44-ე ტირაჟების შედეგები, რომელიც მოსკოვში 30 ოქტომბერს შედგა.

„სპორტლოტო 6 45“-დან: გაიყიდა 1546763 ვარიანტი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (29 ვარიანტი) მოგება 2176 მანეთია, ოთხისთვის (1833) — 37, სამისთვის (33692) — 3.

„სპორტლოტო“ 5 36“-დან: გაიყიდა 16302960 ვარიანტი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (28 ვარიანტი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (5494) — 136, სამისთვის (177036) — 8.

„სპორტპროგნოზი“

ევროპის საფეხბურთო თასების გათამაშებაში მონაწილე გუნდების თამაშებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის შედეგები

(9-10 ნოემბერი)

1—2, 2—X, 3—1, 4—1, 5—X, 6—2, 7—X, 8—X, 9—1, 10—X, 11—1, 12—X, 13—X.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში ხშირად შემოდის რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სპორტკომიტეტებისა და პროფკავშირთა სპორტული საზოგადოების ადგილობრივი საბჭოების თავმჯდომარეების, აგრეთვე კორესპონდენტთა წერილები. ავტორები გვწერენ ადგილობრივი სპარტაკიადის (მაგალითად, მუშათა სპარტაკიადა, მოსწავლეთა სპარტაკიადა...) საზეიმო გახსნის შესახებ და სპორტის ერთ ან რამდენიმე სახეობაში დამთავრებული შეჯიბრებების შედეგების თაობაზე. არც თუ იშვიათად ანალოგიურ ინფორმაციებს ვღებულობთ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებზე.

„ლელოს“ რედაქციას, გაზეთის მცირე ფორმატის გამო, საშუალება არა აქვს, რომ მსგავს ინფორმაციებს ცალკეულ სახეობებში გამართულ შეჯიბრებებზე სისტემატურად დაუთმოს ადგილი. ამიტომ ავტორებს ვთხოვთ ინფორმაციები მოგვაწოდონ მხოლოდ სპარტაკიადებისა და სხვა კომპლექსური შეჯიბრებების მოლიანად დამთავრებისთანავე მის საბოლოო შედეგებზე.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 12 ნოემბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2).**

საქართველოს ტელევიზია. 12 ნოემბერი. სპორტული გადაცემა — „45 წუთი“ — **21.15.**

საქართველოს რადიო. 12 ნოემბერი. ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. I ლიგაში გადასასვლელი მატჩი: „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) — **19.00.**

კორტებზე — ვეტერანები

გათუმის ზღვისპირა პარკის კორტებზე გამართულ საკავშირო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად შეიკრიბნენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, კრასნოიარსკისა და გორკის ჩოგნის ოსტატები, აგრეთვე ახლო წარსულში გდრ-ის უძლიერესი ჩოგბურთელი — ქვეყნის 48-გზის ჩემპიონი სხვადასხვა თანრიგში, მაგდებურგელი თომას ემერიჰი.

ქალთა ერთეულთა თანრიგში ყველას აჯობა ირინა ლუბორტმა (ლენინგრადი), მეორე იყო თბილისელი ნინო თუხარელი.

ვაჟთა შორის (35-45 წლის ასაკი) უძლიერესი გახლდათ თომას ემერიჰი, უფროს ასაკობრივ ჯგუფში კი პირველობა არავის დაუთმო სტას ლაბანაუსკასმა (კაუნასი).

ვაჟთა წყვილთა თანრიგში გაიმარჯვა სტას ლაბანაუსკასისა და მიხეილ ევსეევის (კიევი) დუეტმა.

შერეულ წყვილთა თანრიგში პირველ ადგილზე გავიდნენ ირინა ლუბორტი და სტას ლაბანაუსკასი, ნინო თუხარელი ტალინელ მატიე მურსთან ერთად მეორე პრიზიორი გახდა.

პარალელურად ჩატარდა შეჯიბრება მოყვარულ ჩოგბურთელთა შორის. 45 წლამდე ასაკის სპორტსმენთა ასპარეზობაში გაიმარჯვა თბილისელმა ირაკლი თოფურიძემ, არჩილ ებრალიძე (ბათუმი) მეორე ადგილზე გავიდა.

45-დან 55 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში უძლიერესის წოდება მოიპოვა ბათუმელმა თამაზ ხარაზმა, ხოლო 55 წელზე უფროსი ასაკის ჩოგბურთელთა შეჯიბრებაში პირველ-მეორე ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ ბათუმელები შოთა ახვლედიანი და ედუარდ მითაიშვილი.

გიორგი მურვანიძე.

კალეიდოსკოპი

საროიანი გარიგება

როგორც ცნობილი გახდა მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა ჩოგბურთელმა, უიმბლდონის ორგზის ჩემპიონმა ბორის ბეკერმა (გფრ) სპორტული ნაწარმის ცნობილ ფირმასთან „დიადორთან“ ხელსაყრელ კონტრაქტს მოაწერა ხელი. 1989 წლის იანვრიდან ხუთი წლის მანძილზე იგი რეკლამას გაუკეთებს ამ ფირმის სპორტულ ფეხსაცმელს.

მიმდინარე წლის აპრილში ბეკერმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას იტალიის კიდევ ერთ ფირმასთან, რომელიც სპორტულ ტანსაცმელს ამზადებს. ამ გარიგებაში ბეკერს 5 მილიონი დოლარი ერგო.

ტრაგიკული შემთხვევა

43 წლის ცნობილი ამერიკელი მხედარი მაიკ ვენეზია ერთ-ერთი შეჯიბრების დროს მძიმედ დაშავდა და... გაირდაიცვალა. ამ ტრაგიკულ რბოლაში მხედარს უმტყუნა ცხენმა, გადმოვარდა უნაგირიდან და დანარჩენმა მონაწილეებმა გადათელეს იგი.

ვენეზიას მონაწილეობა ჰქონდა მიღებული 21 977 დოლში და 2313-ჯერ გამარჯვებული გამოვიდა. ამ ხნის მანძილზე მისი საპრიზო ფონდი 33,5 მილიონ დოლარს შეადგენდა.

ორგანიზატორთა დანაშაული

იუგოსლავიის სამართალდამცველი ორგანოების განცხადებით სულ მალე აღიძრება საქმე 1987 წლის ზაგრების საზაფხულო უნივერსიადის ორგანიზატორთა წინააღმდეგ, რომელთაც ბრალად ედებათ დიდი თანხის მითვისება.

სახელმწიფოს სარევიზიო სამსახურმა შეჯიბრებათა ანგარიშებში ბევრი არსებითი დარღვევა აღმოაჩინა. იუგოსლავიის პარლამენტში უკვე დაიწყო დებატები ამის თაობაზე. როგორც ირკვევა უნივერსიადის ორგანიზატორები არავითარ ფინანსიურ აღრიცხვას არ აწარმოებდნენ და ამით ბოროტმოქმედებს სხვადასხვაგვარი მაქინაციებისთვის ხელსაყრელ პირობებს უქმნიდნენ.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე

საქართველოს სპორტული ტანვარჯიშის ფედერაცია, სპორტის ვეტერანთა საბჭო, ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრა იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, შრომის ვეტერანი

ელისაბედ ბესარიონის ასული შოგირაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „შერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორაუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 ~~16~~ 17 18 19 20 უე 10938